წელიწადი მეცხრე.—№ 413

პარასკევი, 1 მარტს 1874.

2 N 30.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисѣ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ჩვენი ხალხის მონაწილეობა საყოველთაო სამხედრო სამსახურში—წვრილი ამბები — „დროების" კორრესპონდენცია: ხონიდგან—აჭალიდგან — თელავიდგან — პასუხზედ პასუხი — წიგნი რედაქტორთან — რ უ ს ე თ ი:—საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდება წვრილი ამბები — უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: პარიჟი 17 ფებერ.

ფ ე ლ ტ ო ნ ი. სტატია მეველისა.

# საქართველო

## ჩვენი ხალხის მონაწილეობა საყოველთაო სამხედროსამსახურში

უმაღლესი მანიფესტის ძალით კავკასია განთავისუფლებულია ჯერ-ჯერობით საყოველთაო სამხედრო სამსახურისაგან. ამ ნაირს ჩვენი ქვეყნის განსხვავებას დანაშთენს იმპერიასთან საგულისხმო იყო, რაიმე საფუძველი ექნებოდა, და, მართლაც, მმართებლობის მოსაზრებანი ამ შემთხვევაში ყოვლად პატივ საცემელი და მოსაწონი გამოდგნენ, რამდენათაც ჩვენ ამ საქმის გარემოება გვეიგია.

მართებლობამ კარგათ იცოდა, რომ ჩვენთვისა და შუა გულ ღუბერნიის მცხოვრებისათვის ერთი და იგივე ზომა არ ივარგებდა. და არ ივარგებდა იმიტომ, რომ ჩვენ თითქმის არაფერში არა ვგავართ ერთმანეთსა. ბუნებით თვისებებში, აღზრდაში, ჩვეულებებში, რწმუნებებში და, უკანასკნელად, ქვეყნის მდებარეობაშიაც—ყველა ამაებში ერთობ საგრძნობელი განსხვავებაა. აი ამ მიზეზების გამო კავკასია გადარჩა ახალ სამხედრო კანონს.

ყოველი დაწესებულების მნიშვნელობა, რასაკვირველია იმისი სარგებლობაა. თუ კი რომელიმე საქმე, გინდ ცხადი უდაო ჭეშმარიტებათაგანი იყოს ზოგიერთ შემთხვევაში არ იქნება გამოსადეგი, მაშინ იმის მიღება არც გონიერებაა, და არც სამართლიანობა. ამ ნაირს მდგომარეობაში ვიყავით სწორეთ ჩვენცა. ჩვენთვის მუდამი სამხედრო სამსახური, იმისი მძიმე მხარეები აუტანელი იქნებოდა და სახელმწიფოსათვის ამ ნაირი ნიადაგ მდრტვინავი ჯარის ყოლა უსარგებლო. მმართებლობამ მშვენიერად განსჭვრიტა ეს დაბრკოლება, და ამისთვის ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ სრულს კმაყოფილებას და თანაგრძნობს.

მაგრამ სრული უმონაწილეობა ჩვენი ქვეყნის დაცვაში არც ჩვენ გვესიამოვნებოდა ცხადია, და არც მმართებლობა ინებებდა ამას. აი ამ მოსაზრების ძალით, როდესაც მმართებლობა ინებებს, და შემოიტანს ჩვენს მხარეში ახალს სამხედრო წესს, აქაურს თვისებებსა და პირობებზედ დაფუძნებულს, მაშინ რასაკვირველია ჩვენი მხარე კმაყოფილებით მიიღებს მონაწილეობას ამ ქვეყნისათვის წმინდა საქმეში.

W.

### განცხადება
### თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

**იღებს**

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

| | |
|---|---|
| სამი თვით | 6 % |
| ექვსი თვით | 7 % |

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

| | |
|---|---|
| სამი თვით | $7^1/_2$ % |
| ექვსი თვით | 8 % |

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში, სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში . . . 8 %

4.) საქონლის გირაოში:

| | |
|---|---|
| რომელიც მოტანილია | 9 % |
| რომელიც გზაშია | 10 % |

**იხდის**

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

| | |
|---|---|
| ა.) მოთხოვნამდის | 5 % |
| ბ.) ექვსი თვით | 5 % |
| გ.) ერთი წლით | 6 % |

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში—სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ**

От такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

ბერენშტამის და ვართანოვის წიგნების მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისს, და ლორთქიფანიძისაში, ქუთაისს, ისყიდება რუსული წიგნი:

**ქუთაისის მაზრის სამსაჯულო.**

პროცესსი ნ. ი. ნიკოლაძისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალებენ.

**ფასი ორი შაური.**

ქალაქს გარეთელებს შეუძლიანთ ორი ორშაურიანი ფოჩტის მარკა გამოაგზავნონ ამ წიგნის ფასად.

### წვრილი ამბები

— საჩხერიდგან სწერენ „თფილისის მოამბეს," რომ იქ სამარელების შესაწევრად წარმოუდგენიათ აქამდისაც გ. ერისთვის კომედიად ცნობილი „ძუნწი". ანტრაქტის დროს უფ. ახუმოვს სკრიპკაზედ დაუკრავს.

— 26 თებერვალს „თფილისის წრის," ზალაში სიმონოვიჩისამ წაიკითხა ლექცია შკოლურს დისციპლინაზედ. ლექცია მშვენიერი იყო, მეტადრე სხვა ლექციების შედარებით. სრული ანგარიში ამ სალამოს წაკითხს ლექციებზედ შემდეგ ნომერში იქნება.

— „სასოფლო გაზეთი" გვაცნობებს, რომ თიანეთში სასოფლო ბანკი იხსნებაო. ამ ბანკის დაწესება უფ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს გამოუწყია.

ბანკის წესდება ეხლა წარდგენილია გუბერნატორთან. ამ წესდების დამტკიცებამდის რაც შეკრებილი საბანკო ფულებია, ჯერ ჯერობით მარტო ას ოცი თუმანი, სავაჭრო ბანკში შეუნახავსთ.

— სოფელს ხოვლეს რომ შკოლა დახურეს ამას წინათ, ის შკოლა ხელახლავ უნდა გაიხსნასო. გამოჩენილან იმისთანა პირნი, რომელთაც ამ შკოლის უფრო მკვიდრათ დაფუძნება უკისრნიათ.—(სასოფ. გაზ. № 1 1874 წ.)

— ახალციხის მაზრაში რამდენიმე ალაგს პურის მაღაზიები გაუმართავთ. (სასოფ. გაზ. № 1, 1874 წ.)

### „დროების" კორრესპონდენცია

დ. ხონი 10 ფებერვ. 1874 წ.

საქებარმა ძალლმა ნიახურზედ გადაიაროო, სწორეთ ისე ემართება ჩვენ ხონსაც. მე მეგონა თუ მეტჯელ არა ორჯელ მაინც ქართული წარმოდგენაები იქნებოდა აქ, ამ ყველიერში; მაგრამ, ნუ შეგჭამოსთ მიწამ, ჩვენ აქ საკეთილო მოქმედება არ გვენახოს. ბუშინ კი ორ-კლასიან შკოლაში ალეგრი გაათამაშეს, აქაური შკოლების სასარგებლოდ. ნივთები იყო მოგროვილი ზოგი ვაჟების შკოლის შაგირდებისაგან ნახელვა-

# ფელტონი

საუცხოვო რამეა ეს ჩვენი ქალაქი! რაგინდათ რომ არ იპოვნოთ აქ? რა გვარი სიამოვნება, აღელვება, დატკბობა და გამწარება გსურსთ, რომ ვერ მონახოთ თფილისის საუკუნო ქუჩებში!

ნამეტურ ეს ორი უკანასკნელი კვირა!.. რა მდიდარი იყო ის სხვა და სხვა ნაირ საზოგადო ცხოვრებითა?!... კონცერტები, ლიტერატურული სალამოები, ლექციები, ფოკუსები ისე გადმოგვეშო ერთბაშათ გაოცებულს თბილისელებსა, როგორც ილიისის სეტყვა. და მშვენიერი სანახავიც იყო, მოგახსენებთ, ეს აჭრელებული თვალთ-მაქცობა. დასწყევლოს ღმერთმა „სწავლაცა და სწავლული კაცებიცა". საკვირველია ჭეშმარიტად ამათი საქმე! დღემდის მე ლირსავით მეგონა, რომ „არა რაისგან არ იქნების არა რაიცა". მაგრამ ეხლა სულ წინააღმდეგ აზრზედ ვრწმუნდები. საპატიო და პატიოსინი ლექტორები ნათლად ამტკიცებენ, რომ „არა რაისგან" იქმნების გვარიან გარგი ძალი რგვალ-რგვალ მანათები. ეს მათის მხრით დიდი დამსახურებაა შთამამავლობის წინაშე და დაუფასებელი ღვაწლი მეცნიერებისთვის!

ჩვენც ჩვენის მხრით შევსწირავთ უაღრესს მადლობას და ვისურვებ იმათთვის: ცოტა საგნის ცოდნას, ცოტა ენის მეტყველებას, ცოტა ლოღიკურ სჯას და მომეტებულს გაგებას თავის ვალდებულებისას საზოგადოებისადმი.

თუ ღმერთმა შეისმინა „მხურვალნი ვედრებანი ესე ჩემნი"—და რომ ამნაირ ჩემს უანგარო თხოვნას შეუერთდება გულ მხურვალე ლოცვა ყველა ლექციებზედ მოსიარულეთაც, ამაზედ მე ეჭვი არა მაქვს—მაშინ, ჩვენ უთუოდ დაჯილდოებული ვიქნებით მერმისთვის მაინცა. „სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამიაო," ამ ანდაზას ხომ არ მივყვებით, უფ. ლექტორ'ო?

მეორე საყურადღებო საქმე ამ ხანებში ბელიაევის მკვლელების გასამართლება იყო. მაზრის სამსჯავრო ორივე სხდომაზედ გაჭედილი იყო მაყურებლებითა. პირველი დღე მოწმების ჩვენების ჩამორთმევას მოუნდა. მეორე დღეს კი წარმოსთქვეს: პროკურორმა ბრალმდებელი სიტყვა და ადვოკატებმა საკუთარი თავის დამცველი სიტყვები. სხდომაზედ დიდი მთავარიც ბრძანდებოდა საზოგადოება მოუთმენლათ ელოდა რითი გათავდებოდა ათიოდე კაცის ბედი, რომელნიც იქვე ისხდნენ.

დამცველებათ იყვნენ უფ. ყიფიანი, ამატუნი, იაკოვლევი და არწრუნი. ესენი თითონ სასამართლოს დაენიშნა. პროკურორმა უარი სთქვა თავის ბრალმდებელ სიტყვაში უ. ყიფიანის კლიენტების დევნაზედ და სხვებისათვის კი კატორგაში გაგზავნა მოითხოვა 13 და 15 წლითა. ამ განჩინებაზედ ბევრი არ უდავიათ ადვოკატებს. ისინი უფრო თავის თავზედ ლაპარაკობდნენ, ნამეტურ უ. არწრუნი და სამსჯავრომ სრულიად დაამტკიცა პროკურორისგან განაჩენი დასჯა.

ამ პროცესზედ უ. ამატუნმა განაცხადა, რომ „ნაფიცი მსაჯულების უყოლელობა ძალიან საგრძნობელი არის ჩვენი საზოგადოებისათვისო".

ამ დროს რაღაც მოძრაობამ ჩამოირბინა ზალაში. რომ მოვიხედე ყველასი პირი იღიმებოდა. არ ვიცი კი რისი ნიშანი იყო ეს ღიმილი; იმისი, რომ ესიამოვნათ მთავრობის წინ გამოცხადება თავის საჭიროებისა, თუ ისა, რომ ამ ნაირი სიტყვის უმნიშვნელობა ცხადი იყო ყველასთვის?

***

ამ ამბის შემდეგ ორიოდე სიტყვას ვიტყვით სვანეთზე. სვანეთში, როგორც გვატყობინებს კორრესპონდენტი, რეფორმები ხდება.

ეს საქმე ცოლების ჩამორთმევით დაწყებულა.

ეპისკოპოსის განკარგულებით ვისაც

ნები მებელები, და ზოგი ქალების უფასო შკოლის შემონაწირავი ნივთები; ესენი ყველა ღირებულია 90 მანეთად. ამ ნივთებში ფული დარჩა ორივე შკოლებს ხარჯის გამორიცხვით 60 მანეთი, ასე რომ ზარალმა აჯობა მოგებას 30 მანეთით. ღმერთმა უშველოს, ვინც ამისთანა მოგებიანი ანგარიში გვიჩვენა; და თუ ამისთანა შემწე პირები არ მოგვეშალა, ისე აამაღლებენ სასწავლებლებს, რომ მიწაზედ ფეხსაც არ დაადგმევინებენ. არ შემიძლია დავფარო, არ გაცნობოთ, რა მდგომარეობაშია აქაური უფასო შკოლა: ვინ დაიჯერებს, რომ მას დღეიდან ათი თვის მეტი საზრდო არა აქვს; მე ძრიელ მიკვირდა ამის მზრუნველებისაგან, რომ წლის ანგარიში საზოგადოებას არ მისცეს. დღეს, როგორც სჩანს, საანგარიშო რომ არა დარჩომიათ რა ხელში, რას დაგვანახვებდენ. პირველად რაც ფული მობოჰვს (დაულევლი გონებიათ და ისე უხარჯავით) ის უთავბოლოთ უხარჯავსთ, ასე რომ დარჩომიათ მხოლოდ 500 მანეთი; ხარჯი გადის თვეში 50 მანეთი. სხვა ნუგეში არ საით არის; აქედან ცხადათ დაინახავთ, რამდენი ხნის სიცოცხლე ექნება ხონში უფასო შკოლას. პირველად, როცა შკოლა გაიხსნა, ერთი წლიწადი ვაჟების მასწავლებლები უფულოდ აძლევდენ უროკს; სახლიც უქირავოთ გვათხოვა ლუკა დავითისძემ ქორქაშვილმა. ღმერთმა უშველოს ამას ესრეთის საზოგადო კეთილი საქმის შემწირველობისათვის, და თუ ამას ეს კარგი საქმე არ ექნა, დღემდისაც გათავდებოდა ის ფული, რომელიც ეხლა არის.

ვინ უნდა იქნეს პასუხის მგებელი, თუ ხონში უფასო შკოლა დაიხურა? პასუხის მგებელი გახდებიან ის პირები, ვინც პირველად იკისრეს ამ საქმის თაობა საზოგადოების წინაშე; იმათ არ შეუძლიათ სთქვან, საზოგადოებას რამე უარი ეთქვას მათ საჭიროებაზედ. საზოგადოება ყოველს წამს მზათ არის მათის მოთხოვნილების მიცემისა. მაგრამ, როგორც სჩანს, მოწყინდა იმათ ამ კეთილი საქმისათვის შრომა.— დღეს რომ ვინმე ღვთის კაცი გამოჩნდეს და შკოლისთვის ფულის შეწირვა სურდეს, გამომრთმევი არავინ არის. ამას წინეთ ერთმა კაცმა 5 მანეთი მიუტანა უ. ჟდანოვს და უთხრა: „მე თქვენ შეგპირდით ეს ფული შევსწირო ქალების უფასო შკოლას, აი აღმისრულებია ჩემი შეპირება და მიირთვითო. უ. ჟდანოვმა ის ფულიც დაუბრუნა და მასთან უპასუხა: აწ ფულს ნურავინ მოიტანთ, მე შკოლის შემწე არა გვარო. იმ კაცმა ის ხუთი მანეთი დიდის სიამოვნებით ჯიბეში ჩაიგორა და უთხრა: ამის მეტი სამწუხარო ღმერთმა ნურა მოგცესო, მე ეს არ მწყენოდესო. ძრიელ გამიკვირდა ეს ამბავი, თუ რისთვის შვრება ეს კაცი ამას მეთქი, მაგრამ რას ვიქდი. ვცდილობდი გამეგო, რა იყო მიზეზი მისაგან ერთგულების მტრობათ შეცვლისა. ისე ალგისრულდათ ყოველი კეთილი გულის წადილი, როგორც მე ის გავიგე, თუ რისთვის შემხტარა და შეტრიალებულა ეს კაცი. ერთ დროს წევრები შეკრებილან შკოლის თაობაზედ მოსალაპარაკებლად, რომ სახლი ექირავენათ; იმათ გარდაუწყვეტიათ სახლის ქირავება და მიუნდვიათ ერთის მათგანისათვის, რომელსაც სახლი უნდა ექირავებია. ჟდანოვს იმ კაცის სახლის ქირავება არ ნდომებია. ამ დიდ საწყენ საქმეს შეუცვლია მისი გული და დაუფანტვინებია მაში ჰეშმარიტი ერთგულება შკოლაზედ. ჩვენში ხომ საზოგადოთ ყოველ საქმეში ერევა უთანხმოების სენი, მაგრამ აქ მაინც არ იყო კერძო სარგებლობა, რომ გამორევია ის უწმინდური. ძველებური ანდაზა ამბობს: მაჩაბელმა იქეიფა და ურიას თითი მოსჭრესო, სწორეთ ისე გვემართება ჩვენც. დანარჩენ მზრუნველებზედ ჯერ არას ვიტყვით და შკოლის დახურვასთანავე თითოეულად მოგახსენებთ, ვინ როგორ მოიქცა, რა ჩაიდინა ამ საქმეში.

ამ ჟამად ხონის ქალაქის სასარგებლოდ შემოდის წლიურათ, გარდა იმისა, რაც ორკლასიან შკოლას აქვს მიჩენილი, 800 მანეთი ცოცხალი პიროტყვის ბაჟისაგან, 300 მანეთი მიროვოი ოტდელისაგან, აგრეთვე ნოტარიუსის კანტორისაგან 400 მანეთამდის, რომელიც შეადგენს სულ 1500 მანეთს. ამ ფულებიდან ქალაქის სასარგებლოდ ჯერ ერთი ბისტიც არ დახარჯულა. ვის მიაქვს და რომელ ორმოში სცვივა ეს ფულები, ჩვენ არ ვიცით. კარგი იქნებოდა მმართებლობა გვიქდეს მოწყალებას და ამ სუმიდან რამოდენიმე ფულს დაუნიშნავდეს ჩვენს უფასო შკოლას, რომელიც დღე მუდამ ელოდება გაქრობას, და იქნება მაშინ არ დაგვწვას სალოდავი შაგირდების ცოდვამ.

ხონელი შარაშიძე.

---

ს. ავჭალა, 1874 წ.

აქაური გლეხის ცხოვრება ღმერთმა მტერსაც ნუ მისცეს: ერთიღა აკლია იმასა— შიმშილით არ კვდება. მაგრამ ამ საოცარ სიღარიბეშიაც ახერხებს ხოლმე გაქეიფებას, ისე რომ ზოგიერთ მდიდარსაც შეეხარბება, რომლისთვისაც ხურმა უცნობია. არც ბევრი რამა სჭირია იმის გამხიარულებასა. მთელი დღის მუშაობაში ოფლის ღვრის შემდეგ, გლეხს მცირედი თავისუფლება და გართობაც კმარის. ის არ გაუნებიერებია სასტიკსა ხვედრსა.

ყველიერი გაატარეს აქ დიდ შექცევებში მათებურად. მუშაობა დასტოვეს ყველამ ცოტას ხნით, გარდა იმათა მარტო, რომელნიც ერთ დღესაც ვერ მოახერხებენ შესვენებას უკიდურესი სიღარიბისა გამო. ვისაც კი შეეძლო დაეწაფა ქეიფსა. მამა კაცები ღვინოსა და ჩიბუხსა მიუსხდნენ; ქალები აქა-იქ ბანზედ მოგროვებულან და მუსაიფობენ ცისა და ბარისას; ყმაწვილები დახტიან, კირკიტობენ და ცეკვენ ლეკურსა. კვირას მეც შევერიე ამ ჯარსა და დარბაისლებში ერთი სახლის წინ ძალიან გახურებული დიმპლიპიტოსა და ტაშის კვრა იყო; აქ მარჯვეთ და ეშხიანათ თამაშობდნენ გასათხოვარი ქალები. მახლობლათ ამათი დედები და ნათესავები ისხდნენ, რომელიც სიამოვნებით უცქეროდენ ახალგაზდობის მხიარულებასა; შორს კალოზედ ერთი დიდი გროვა გლეხები სჩანდა, რომელიც შემოსეოდნენ და ელოდენ მოუთმენელად, რითი გათავდებოდა ორი ფალავნის ჭიდაობა. იქ შორს სპარტანულ ბრძოლამ, აქ დაირამ, ცეკვამ, ტაშმა, თამაშ-გადაშლილ წელ-წერწეტა გოგოების ცელქობამ და ერთი ქერივი ქალის ყმაწვილებში გარევამ და კისკისა ხმაურობის მომატებამ, მეც ამიყოლიეს. ეს იყო მინდოდა მიმეღო მონაწილეობა საზოგადო კმაყოფილებაში, ამ დროს ერთი 10 წლის ყმაწვილის დანახვამ სრულიად დამავიწყა ჩემი განზრახვა. ეს საბრალო ბრმა იყო, ყვავილს დაუტოვებია მისთვის სიბნელე. ამას დაუმატეთ ისეც, რომ ამ ბედშავს არ გააჩნია არც და, არც მამა. რა სანუგეშო მდგომარეობაა!

განა არ შეიძლება, რომ მდიდარმაცა და ღარიბმაც თანასწორათ დაიფარონ თავი ამ სენიდგან? განა მეცნიერების გამოჩენანი მარტო შეძლებულებს უნდა მსახურებდეს და გაჭირვებულები კი სულ ისევ უპატრონოთ შეუწევნელად უნდა იხოცებოდნენ?!.

მართალია შორსა ვართ იმ დროზედ, როცა ყველას შეეძლება იწამლოს ნასწავლს ექიმთან და აღარ იქნეს იძულებული მიიქცეს მარჩიელთან, შელოცვაზედ და ათასნაირ საშუალებებთან. ეხლა [illegible] ასე შეუსრულებელია და იმდენი დაბრკოლებაა, განა რომ არ მოხერხდება ყვავილის აცრა საყოველთაოდ ვალდებულად გახადოს მმართებლობამ და მასთან კიდევაც შეუდგეს ამ ზომის სისრულეში მოყვანას! რამდენს სარგებლობას და სამადლო საქმეს მოიტანდა ის, განსაკუთრებით ღარიბისა და გაჭირვებულის სოფლელისთვის! ვინც სოფლის ცხოვრება იცის, იმან ისეც იცის, როგორის სისწრაფითა და სისასტიკით ედება ყვავილი სოფლებსა და რამდენს ადამიანს ამახინჯებს სამუდამოთ, რამდენსა ჰკლავს უდროვოთ.

ნამეტურ წასრულ ზამთარში იყო აქ გაბრაზებული ყვავილი. ვერ ნახავდით ერთ ოჯახს, რომ არ სტუმრებოდეს. ზოგი დაავრდო, ზოგი დაასაჯაყა და ზოგი სამარეში ჩაჰყარა. არის საშუალება ამ უბედური და საშინელი მოვლენისაგან იხსნან ხალხი, მაგრამ არავინ კი არ კისრულობს; არავინ ჰფიქრობს, ცოტათი მაინც, შეუმსუბუქონ გლეხს გაჭირვებული ცხოვრება; არავინ არ დასდევს ხალხის მოთხოვნილებას, საზოგადო საჭიროების დაკმაყოფილებას. დასაჯერებელია ეს!

ქალი მასწავლებელი.

---

თელავი, 7 თებერვალს 1874 წ.

„მაძღარს მშიერისა არა გაეგება რაო“, ამბობს რუსული ანდაზა.

მკითხველო, განა ეს მართალია? თუმცა ცხადია, რომ კაცს კაცის გრძნობა, მდგომარეობა და საზოგადო სულის მოძრაობა ესმის, მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ ეს ანდაზა არ სტყუის. გაუცინე ოთხი თვის ყმაწვილსა და მასაც, უეჭველია, ის მშვენიერი ღიმილი მოუვა პაწაწინა უმანკო ტუჩებზედა, რომელიც ცხადათ გიმტკიცებს, რომ პატარა არსება, თანაუგრძნობს შენს ალერსსა, შენს სულის მოძრაობას, გარეგნად სახეზედ გამოხატულს. შეუკარ ახლა შუბლი, შეუბღვირე, გადაუტრიალ-გადმოუტრიალე თვალები, მიიღე მრისხანე სახე და დაინახავ, რომ პატარა, აქნობამდინ მხიარული და ღიმილით სავსე ტუჩებზედა, მოჰყვება ნელ-ნელა ჯერ ქოთინსა და შემდეგ ტირილსაც და თუ ეს არ დაემართა, პირს მაინც მოგარიდებს უკუღმა მიხედვითა. ეს ყველა დედამ იცის კარგათა. თუ პატარა ასეთი მგრძნობელია, მაშ დიდი კაცი, რომელსაც უფრო სრულათ აქვს გახსნილი

---

ერთზე მეტი ცოლი ჰყავდა ყველას წაერთო. ქმრებიცა და ცოლებიც უთანხმოებას აცხადებდნენ!

ძალიან კმაყოფილებას და სისწრაფეს კი იჩენდნენ თურმე სვანები ერთი მეორის ცოლების წართმევაზე. ერთს სვანს უბრძანა მღვდელთ მთავარმა, რომ სამი ცოლისაგან ორი უნდა გაუშვაო. განებიერებული მეუღლე არ დათანხმდა ამ სამართალს. მაშინ ეპისკოპოსმა მისცა ბრძანება ძალით წაერთმიათ ცოლები ურჩი ქმრისთვის, „რაიცა სვანებმა აასრულეს ძრიელის ხალისითაო“, მოგვითხრობს სვანეთელი მემატიანე.

საკვირველია ის სცენა, როდესაც ერთს სვანს სარჩევში უშვებენ თავის ორ ცოლზედ. ან ერთი—ან მეორე, ეუბნება იმას კანონი. სვანი დიდხანს არ ეთანხმება, მაგრამ ბოლოს ხედავს საშველი აღარ არის და ისევ ახალგაზდა ცოლს აძლევს უპირატესობას. მაშინ იმას უბრძანებენ უფროსი ცოლის გაშვებას დედ-მამასთან. „მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნები, ჩემთან ამდენს ხანს ნაცხოვრებ ქალს რომ სამოწყალოდ გაუშვებო“, უპასუხებს სვანი.

საბრალო სვანი ბევრს საშუალებას სძებნის და ეუბნება პრისტავს, რომ გარეშე ვარჩენ ცოლსაო, მაგრამ ყოველი ვედრება ამაოდ შთება.

* * *

მაგრამ აი, შეხედეთ ამავე საგანზედ სჯას ჩვენში. უ. ახ—შათელი ძალიან გვემდურის, რომ რამდენიმე მართალი სიტყვა წამოგვცდა ქალების სასარგებლოთ. „ან ჩამოაგდეთ ისევ თქვენ მშვიდობა ჩვენშიო“—გვიბრძანებს უცნობი ქმარი—„ან და ცუდს რასმეს მოელოდეთო.“

ხათაბალა თუ გინდა ეს არის. დალოცვილო, რტყმევა, უსამართლოთ მოპყრობა და დაჩაგვრა თქვენი ცოლებისა რომ გამხილეთ, ცუდიაო, ამან შემოგიყვანა ოჯახში შფოთი და არეულობა?

რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენ კანონები დაგიწეროთ, როგორი ცოლ-ქმრობა გექნესთ შემდეგისათვის—ეს რა საჭიროა? ამისთანა კანონები გამოცემულიც გახლავს, კარგი ხანია, და თუ კიდევ სხვა ნაირი გნებავსთ უფრო კაცობრიული, თქვენი ნებაა. თქვენ, უ. ახ—შათელო, ჯერ პირობა მოგვეცით ქრმების მაგიერად, რომ შეასრულებთ ჩვენგან შედგენილს კანონებს და მაშინ ვინღა ოხერი იზოგავს თავს—დაგიწერთ. თორემ ჩვენ შრომა მივიღოთ და მერმე თქვენ ბრაწები დაგვაგრიხოთ—ვერ მოგართვით! არა, ხუმრობა გაშვებით, რამდენი გულდაწყვეტილი ქმარია, ყველას საყვედურს და მუქარას ვინ აუვა? მე, მოგახსენებთ, მშვიდობის მოყვარე კაცი გახლავარ, და ღმერთმა დამიფაროს ჩხუბისა და დავი დარაბისაგან. თუ თქვენი ნება იქნება, ჩემო მრისხანე ბატონო ახ—შათელო, მე ყოველთვის მზათა ვარ არა თუ უბრალო სამსახურზედ, არამედ ყოველს მსხვერპლზედ, ოღონდ კი გავხდე ბედნიერი და თქვენი გული მოვიგო.

როდესაც გსურსთ, იმ დროს მიბრძანეთ, გიახლებით, და ძალისა და შთაგონებისა მებრ ზეცისა ვეცდები დავამყარო საუკუნო თანხმობა და ერთგულება შორის თქვენსა, მოწყალეო ჩემო ხელმწიფევ, და მეუღლესა თქვენსა.

მაგრამ ერთს რასმეზედ კიდევ გაგაფრთხილებთ: რადგანაც ჩვენი მსაჯულება იქნება დამოკიდებული მხოლოდ სინიდისზე, ამისთვის თქვენ სასტიკად აღგეკრძალებათ ყოველი აპელლაცია და საყვედური.

მეველე.

გრძნობა, ჭკუა და გონება, უფრო ცხადათ არ უნდა გამოუხატავდეს ხოლმე თანაგრძნობას, ჭირშია, თუ ლხინშია, თავის მოძმესა? მეფიქრობ, ასე უნდა იყოს; გონება ასეთ დასკვნას მაძლევს; მაგრამ მე ცხოვრებაში ისეთ ფაქტებსა ვხედავ, რომლებიც ჩვენს ანდაზას ამართლებენ, ამბობენ მის სასარგებლოთ. ამისთანა მაგალითები მრავლისაგან მრავალია. მე თავს არ მოგაწყენ, მკითხველო, მათი შორს ძებნითა. ერთი მაგალითი, რომელზედაც მინდა შენ გელაპარაკო და რომელიც ამოვირჩიე მე ზემო მოყვანილი ანდაზის სიმართლის დასამტკიცებლათ, მაქვს თითქმის ცხვირს წინ. ხომ იცი, რომ ქვეყანაზედ არსებობენ მისთანა სუბიექტები, რომლებიც შეწუხდებიან ხოლმე მხოლოდ მაშინ, თუ სხვა და სხვა უსიამოვნო ცხოვრების შთაბეჭდილების და გავლენის გამო დააჭდა მათ ცხვირზედ თვალ-მუწუკი. ესეც იცი, რომ ყველა საზოგადოებაში მოიპოება ამ ნაირნი მარტო თავიანთ თავზედ მზრუნველნი პირნი. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ აქ, თელავში, ამოჩნდა მთელი საზოგადოება ამ მაღალი და კეთილი თვისების: ასეთი საზოგადოება არის მთლათ თელავი.

პირველი შესანიშნი თვისება და განსაკუთრებითი ხასიათი, რომლითაც ეს საზოგადოება განირჩევა სხვა საზოგადოებიდამ— არის მეტის მეტი გონებითი გამოყრუება პირველად და მეორეთ, აქედგან წარმოდგომილი პირდაპირი შედეგი გულის უგრძნობელობა ანუ, სწორეთ ვსთქვათ, გაქვავება. აი რით დავამტკიცებ მე ამასა. ყველა ნომერი რუსული გაზეთებისა იმას გვეუბნება, რომ სამარის გუბერნიაში საშინელი შიმშილი არის, რომ ხალხი იქლიტება შიმშილისგანა და სჭამს იმასა, რასაც ძაღლი არ ეკარება; დიდი, პატარა, ღარიბი, მდიდარი-ჭკუიანი და უჭკუო—ყველა მას ცდილობენ, რომ შეწევნა მისცენ ფულითა მშიერ სამარელებს. აქ პროფესსორი ლექციას კითხულობს სამარელების სასარგებლოთ; იქ მთავრობა ხაზინიდგან ფულს უნაწილებს; აქ მღვდელი სცდილობს გამოიჩინოს თავის გონებითი ძალა, მოიმხროს თანამგრძნობელნი ამ კეთილი საქმისა; იქ ზოგი ბეჭდავს წიგნსა და შემოსავლის რამდენიმე პროცენტს უნაწილებს მშიერს სამარელებსა. ერთი სიტყვით ყველა სწუხს და ფიქრობს უბედურ სამარელებზედა.

თელაველები რაღას შვრებიან? უურსაც არ იბერტყავენ, აზრათაც არ მოსდით სამარელების შეწუხება შიმშილისგან. თელაველს კაცს ოღონდ კი თითონ ჰქონდეს მუცელი მაძღარი, თორემ სხვა ყველა ფეხებზედ ჰკიდია. ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ იგი შეწუხდეს სხვის გაჭირვებითა, უბედურებითა. ის თავის ცხვირის იქით არაფერზედ არ ზრუნავს. ასეთი გულ-გრილობა და უგრძნობელობა თავის მოძმის უბედურებისადმი იხატება მისი პირის სახეზედაც. შეხედე კარგათ თელაველსა, დააფიქრდი სიარულში და შენიშნავ უზრუნველობასა: მისი პირის სახე აზრის, ფიქრის კვალს არ წარმოგიდგენს.

და თუ ფიქრობს განა რაზედა, მკითხველო, ცხადია, ან ღვინოზედა და ან ქაღალდის თამაშობაზედა. თუ სადმე სადილი და ან საზოგადო ვახშამი გამოსტყვრა, მაშინ, ნუ გენაღვლება, ის არ ზოგავს ორ მანეთსა ფსონისთვის და სამარელებისთვის კი ორი კაპეიკიც უმძიმს.

დღეს რაღაც ქაღალდი მომიტანეს. ამ ქაღალდზედ აი რა ეწერა: 8 ფებერვალს იქნება ვეჩერი. ამ ვეჩერის მსურველებმა კაცებთაგანმა უნდა მოაწერონ ორი მანეთი და ქალებთაგანმა თითო მანეთი. ამისთანა ვეჩერების გაკეთებას მიიღებს ხოლმე აქაური საზოგადოების თავი, მაშასადამე წინა კაცი—ბობოლა. აი აქაური წინა კაცები უფრო მალე მოახერხებენ ხოლმე ვეჩერების გაკეთებას—თუ მოიწადინეს, ვიდრე სამარელების სასარგებლოთ ფულის შეკრეფას. ერთი კაცისგან არ გამიგონია სურვილის გამოცხადება ფულის შეკრების შესახებ სამარელებისთვის, თუმც მთელი ქვეყანა მათ თანაუგრძნობს.

თელაველებო, და წინა კაცებო! ამ ვეჩერების გამართვის მაგიერათ ის არა სჯობს, რომ სამარელებს ფული შეუკრიფოთ?.. თელაველებო და წინა კაცებო! ფეხების დამტვრევას ტანციობაში ვეჩერზედა და ერთგულათ მტვერის ყლაპვას ის არ სჯობს, რომ რამდენიმე მშიერი სამარელი გავაძღოთ იმ ფულითა, რომელიც ჩვენგანს უნდა მიეცა ვეჩერის გასამართავათ??!!...

განა, ბობოლებო, ფულების შეკრეფას სამარელებისთვის უფრო ბევრი დავიდარაბა უნდა, ვიდრე ვეჩერების გამართვას?!?!?!...

თელაველებო! დავიჯერო, არ იცით, რომ სხვასაც ისეთი მუცელი აქვს, როგორც თქვენა და სხვაც ისე შეწუხდება უჭმელობითა, შიმშილითა, როგორც თქვენი გაქვავებული გული და გაყინული მაღალი და კეთილშობილი გრძნობები!!! მართლაც საკვირველნი არიან თელაველები!...

კიდევ ვიტყვი: ესკის უეზდის უჩილიშჩის სმოტრიტელმა გამოუცხადა პატარა ყმაწვილებს, თავის შეგირდებს, რომ არიან თქვენისთანა პატარა მშიერი ყმაწვილები და ვისაც სურს ფული შესწიროს მათ სასარგებლოთ. მეორე დღეს ყველას შეძლებისაგვარათ მოჰქონდათ თავის უფროსთან მშიერი ყმაწვილების სასარგებლოთ ფულები—მდიდრებს მანეთები და ღარიბებს კაპეიკები.

თელაველო, შენ რაღას ფიქრობ?? ნუ თუ არ გრცხვენიან ამ მაგალითისა???

თუ ეს მაგალითი მხურვალე და გულითადი თანაგრძნობა პატარა ბავშვებისა არ იმოქმედებს შენზედა, მაშ მე ნულარ დამიწყებ გინებას, რომ გაწერ გაქვავებულ გულსა. მართალია, დაგეთანხმები, თელაველო, რომ გულის სიმაგრე ძრიელ კარგი ზნეობითი თვისებაა, მაგრამ, განა ამ შემთხვევებში???...

თუ ეს ჩემი სიტყვები არ იმოქმედებენ შენზედა, მაშ განა, თელაველო, საფუძველი არ მექნება ვსთქვა, რომ სწორეთ შენზედ არის ნათქვამი ანდაზა „მაძღარს მშიერისა არა ესმოდა რაო". ოი, უმეცრებავ!!! ოი, უგრძნობელობავ!!!

ალექსანდრე ყაყაჩოვი!

აი ეს ერთად ერთი კორრესპონდენცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ კახეთიდგან ამ ერთი წლის განმავალობაში, ქიზიყში შიმშილობის აქეთ. რედ.

## პასუხზე პასუხი

როგორც იქნა, ვეღირსეთ პასუხს მ. არდიშვილისაგან „დროების" მე № 411. ჩემი უმთავრესი აზრი პასუხის მოთხოვნისა „დროების" მე № 404 მდგომარეობდა იმაში, რომ დამემტკიცებია რამოდენიმე პირთათვის და მთავრობისათვისაც, რომ მე მ. არდიშვილისაგან გაგზავნილს კორრესპონდენციაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ამისთანა ეჭვი შემოიტანეს ჩემზე მიტომ, რომ მღვდელი არდიშვილი მსახურობს ჩემთან თანაშემწეთ. ამ მხრით მე კმაყოფილი ვარ მისი პასუხისაგან.

რაიცა შეეხება მას, რომ, ვითომც მან არ იცის საბუთების კეთებაში ვახდევინებ რამეს თუ არა, ეს წინააღმდეგ მისი სვინიდისისა არის ნათქვამი. ის არის ჩემი საბლაღოჩინო მღვდელი და თანა-შემწე და თუ ოდესმე ბლაღოჩინები ადგენდენ საბუთებს თავის საბლაღოჩინო მღვდლებთა, ეს ჰქონდა მინდობილი მას ჩემგან და ის ადგენდა და არა მე. როდესაც მ. არდიშვილმა თავისი ცუდის მოქცევით მოიმდურა ყველა სამღვდელოები, მე იძულებული ვიყავი მათთვისვე მიმენდო და მათ ეკეთებინებიათ როგორათაც სურდათ. ეს ასეა დღესაც. ამაზედ ვიმოწმებ მე ყველა მღვდლებს.

გ. დ. ლამბაშიძე.

## წიგნი რედაქტორთან

ამ შორაპნის უეზდის მიროვის პოსრედნიკი ქირით იდგა ჩემ სახლში დ. ყვირილაში წელიწად-ნახევარი; მაგრამ აგერ ერთი წელიწადია რაც ქუთაისში დგას და ჩემს სახლებში აღარ არის. შენი მტერი შეწუხებულა ისე, როგორც მე მისი ოტდელი ხალხისაგან ვიყო შეწუხებული. მოსვენება აღარა მაქვს აზნაურებისა და გლეხებისაგან. მე რომ ან ვწერდე, ანუ რაიმე საქმეზე ვიდგე, ჩემს სახლში მოვა ერთი ხროვა ხალხი და კითხულობს: ბატონო, მიროვის პოსრედნიკს დავეძებთ ეს ერთი თვეა, საჩივარი საქმეები გვაქვს, ვადა მიდის და ვიღუპებით, აქ ხომ არა დგა? გამოვდივარ და ვეუბნები: არ არის აქ. ეს ერთი წელი გადის სულ ამ წვალებაში ვარ ამ ხალხისაგან. გთხოვთ გამოაცხადოთ „დროებაში", რომ ეს მიროვის პოსრედნიკი ჩემს სახლში აღარა დგას, ქუთაისშია, იქ სცხოვრობს.

დ. ლამბაშიძე,

ფებერვლის 20 1874 წ.

# რუსეთი

## საყოველთაო სამხედრო სამსახურის წესდება.

„დროების" წასრულ ნომერში ახალი სამხედრო წესდების ნაწილი იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ერთი კორრექტურული შეცდომა მოგვსვლია.

დაბეჭდილი იყო:

4) განთავისუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

უნდა წაიკითხოთ:

4) დროებით განთავისუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

გაგრძელება წესდებისა შემდეგ ნომერში იქნება.

— ვიატკის გუბერნიის საერო კრებას ოცდა ხუთი ათასი მანეთი დაუნიშნავს ამ წელს სახარჯოდ ვიატკის საერო სასწავლებლისათვის, რომელიც დაწესებულია მეურნეობისა და სხვა და სხვა ხელობის გასავრცელებლად და სახალხო შკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად.

— ვოლოგდის ქალაქის ვაჭრების, მოხელეების და მცხოვრებლების წარმომადგენლებს დაუნიშნავთ რეალური შკოლისათვის 2000 მანეთი შესაწევარი ყოველ წლობით, რადგანაც კლასსიკური სასწავლებლები ცხოვრებაში გამოსადეგ სწავლას არ აძლევენო და მავნებელიაო, მეტადრე იმათთვის, ვინც გიმნაზიის კურსის გათავების შემდეგ სწავლის გაგრძობას არ ჰფიქრობსო.

— გაზეთები გვატყობინებენ რომ ახალი სამხედრო წესდების შემოღების შემდეგ რუსეთში მშვიდობიანობის დროს 750 ათასი ჯარი უნდა იქნესო; ამას გარდა სამხედრო ტანისამოსის ფორმაც ახალი იქნება, პრუსიელი ფორმის მზგავსი, და საყელო მაღალი სამ ღუზმიანი.

—პეტერბურღის უნივერსიტეტში 1874 წ. პირველის იანვრისათვის ითვლებოდა 1,142 სტუდენტი და 54 თავისუფალი მსმენელი. უკანასკნელი თორმეტი წლის განმავალობაში ყველაზედ უფრო მრავალი სტუდენტი 1861-ში ყოფილა, დროებითად უნივერსიტეტის დახურვის წინ, სახელდობ 1442 სტუდენტი. 1863 წელში, როცა უნივერსიტეტი გახსნეს ახალი წესდების საფუძვლებზედ, ყოფილა 400 სტუდენტი; მერმე სტუდენტების რიცხვს უმატია და 1871 წ. 1285-დის მიუწევია. მას აქეთ სტუდენტების რიცხვი ხელ ახლა კლებულობს.

# უცხო ქვეყნები

პარიჟი, 17 ფებერვალს 1874 წ.

ნაიმპერატორალი ნაპოლეონის ნამინისტრალმა, უფ. რუერმა, ერთხელ კიდევ აალაპარაკა საფრანგეთი,—და ვინ იცის, იქნება უკანასკნელადაც არ იყოს: სამი დღის წინათ იმან დაბეჭდა ბონაპარტულ გაზეთებში შემდეგი წიგნი:

„მაკ-მაჰონის შვიდი წლის პრეზიდენტობა დროებითი უფლებაა; სხვა და სხვა მოულოდნელ გარემოებებს შეუძლია ამ ვადის შემოკლება, მაგრამ ჩვენი პარტიის—ბონაპარტელების—სარგებლობა მოითხოვს, რომ წინ არ აღუდგეთ ამ უფლებას... ამ დროს განმავალობაში ჩვენ მომავალისათვის უნდა მოვემზადოთ...

„შემდეგში მხოლოთ ორ მმართებლობას შუა ერთი და ერთი უნდა ამოარჩიოს საფრანგეთმა: ან რესპუბლიკა და ან იმპერია. სხვა პარტიები თავის გამოჰყოფას ვერ გაბედავენ..."

რადგან ეხლა აქ ყველიერების გამო ნაციონალური კრების სხდომები დროებით შეწყვეტილია და სხვა სალაპარაკო არა აქვთ რა, თითქმის ყველა გაზეთები ამ წიგნზე ლაპარაკობენ. და ღირსიც არის ყურადღების მიქცევისა: ხედავთ, როგორი სითამამით ლაპარაკობს მომავალზე ბონაპარტელების მოთავე! არც ლეგიტიმისტებს, არც ორლეანისტებს აინუშშიაც არ აგდებს: „ისინი ვერ გაბედავენ თავის წამოყოფასაო!"

×

ნაციონალური კრება და თვით მმართებლობა დააფთხო ამ წიგნმა: უფ. ბროჰლის, როგორც ამბობენ, წაუკითხავს თუ არა ეს წიგნი, იმ წამსვე მინისტრების კრება შეუდგენია და მოულაპარაკნიათ—თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, ვინიცობაა, ბონაპარტელებმა რამე რომ მოახდინონო. ნაციონალური კრების მონარხიელები საჩქაროთ შეკრებილან და გარდაუწყვეტიათ: სანამ ბონაპარტელები რასმე შეუდგებიან, ხელახლავ ვცადოთ და იქნება როგორმე

შამბორი დაესვათ საფრანგეთის ტახტზედაო. ამ უკანასკნელი ოთხი დღის განმავალობაში, გაზეთს ვერ ნახავთ, რომ ამ რუერის წიგნზე რამდენიმე სიტყვა მაინც არ იყოს. რესპუბლიკელები, მართალია, იცინიან, მაგრამ თვით ამ სიცილში კარგათ გამოიცნობს კაცი, რომ რუერის წიგნი და საზოგადოთ ბონაპარტელების ინტრიგები იმათ ისე სასაცილოდ და სამასხროთ არ მიაჩნიათ, რომ ისინიც კარგა დაფიქრებულნი არიან.

×

რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ რესპუბლიკელებს ან სხვა ვისმე კიდევ უნდა ეშინოდესთ ბონაპარტების გაბატონებისა? ნუ თუ საფიქრებელია კიდევ, რომ იმ დინასტიას, რომელმანც ამდენი უბედურება მოუტანა, რომელმანც ასე დაამცირა საფრანგეთი, კიდევ დაისვამს თავზე საფრანგეთის ხალხი? აი ამის პასუხი:

ბონაპარტელებს გარდა ყველა დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი იმპერიათ აღარ გადაიქცევა; ყველა დარწმუნებულია, რომ რამდენიც უნდა ატყუონ ბონაპარტელებმა ხალხი, რამდენიც უნდა ეცადნენ, „პატარა ბადანგე“ საფრანგეთის ტახტზე შესკუპვას ველარ ეღირსება. მაგრამ საქმეს მეორე გარემოება ხლართავს და ამხნევებს თვით ბონაპარტელებსა: ეხლანდელი რესპუბლიკური მმართებლობა ყველაფერში ისე იქცევა, რომ თითქო განგებ ჰსურს ხალხს რესპუბლიკური მმართებლობის ფორმა შეაძულოს: ის ავიწროებს პოლიტიკურ უფლებებს, ავიწროებს სტამბას, ამორჩევითს უფლებას, ხალხს მომეტებულ გადასახადს და ხარჯს ადებს, ერთი სიტყვით იმის გარეგანი და შინაური პოლიტიკა ყოველის მხრით საფრანგეთის დამამცირებელი და ხალხის გამაბრაზებელია.

რა გასაკვირველია, რომ ამისთანა მდგომარეობაში ბონაპარტელმა პარტიამ, რომელიც ცეზარული დემოკრატიის წარმომადგენელია, მომხრეები იპოვოს საფრანგეთში! რა გასაკვირველია, რომ ერთ მუჭა გაბრაზებულმა ხალხის გროვამ, ეხლანდელი მმართებლობისაგან მოთმინებიდამ გამოსულმა და ბონაპარტელებისაგან წაქეზებულმა, რაიმე თავხედური საქმე ჩაიდინოს და რესპუბლიკის დამხობა მოინდომოს!

×

რა საკვირველია, ერთი მუჭა გროვა ხალხი ვერაფერს იქს, იმათი მეცადინეობა მალე დამარცხებული იქნება; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მეცადინეობა, ეს მოუსვენარი ინტრიგები ხალხს აღელვებს, მშვიდობიანობას, მოსვენებას, ხვალინდელი დღის იმედს უკარგავს და ვაჭრობას, წარმოებას, ყველა საქმეებს აჩერებს.

აი, ამიტომ არიან რესპუბლიკელები დაფიქრებულნი; ამიტომ ცდილობენ ისინი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დამყარდეს საფრანგეთში რესპუბლიკური ფორმა მმართებლობისა.

×

ამას გარდა აქაური გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ეხლა ავსტრიის იმპერატორის, ფრანც-იოსების, რუსეთში სტუმრობაზე. დამალული სიხარულით ამბობენ ისინი, რომ ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორების შეყრას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო, ვინ იცის, იქნება პრუსიის წინააღმდეგს რასმე განიზრახვენო, რუსეთსა და გერმანიას ანგარიშები აქვთ ერთმანეთში გასაწმენდიო და სხ. და სხ.

×

გასულ კვირაში საფრანგეთს ერთი საუკეთესო ისტორიკოსთაგანი და თავის მოყვარული შვილი მოაკლდა: მოკვდა მიშლე. მთელი საფრანგეთი, ყველა პარტიის გაზეთები დასტირიან ამ გამოჩენილი სწავლულის და მამული, შვილის სიკვდილს. მიშლე ერთ უბრალო მესტამბის შვილი იყო; თავის მეცადინეობით და ნიჭით იქამდი მიაწია, რომ 1838 წ. ერთს უმაღლეს სასწავლებელთაგანში ისტორიის პროფესორად დანიშნეს; იმის ლექციები იმდროს არა თუ საფრანგეთში, თითქმის მთელს ევროპაში განთქმული იყო. ის იყო მხურვალე მქადაგებელი მომხრე ყველა ახალი დროის აზრებისა, და დაუზოგველი მტერი ხალხის დამჩაგვრელი ძალისა, იეზუიტებისა და დესპოტიზმისა. საფრანგეთის იმ დროის ახალგაზდობა გროვ-გროვათ მოდიოდა იმის ლექციებზე და აღტაცებით უგდებდა იმას ყურს. ამისთანა კაცს პროფესსორობა მაშინდელ საფრანგეთში, რასაკვირველია, დიდხანს არ შერჩებოდა: ლუი ფილიპეს მმართებლობამ ადააყენა ის კათედრიდამ, რომელიც 1848 წლის რევოლიუციამ ხელახლა ჩააბარა. 1851 წელს, როდესაც ლუი-ნაპოლეონმა coup d'état მოახდინა და საფრანგეთის ბედი ჩაიგდო, ძალით, ხელში, მიშლემ თავის პროტესტი განაცხადა. ამ წელსვე იმის ლექციები მოსპეს. 1870 წელს, საფრანგეთის დამარცხებამ თითქო მოუკლა იმას გული; მას აქეთ იმას აღარ გაუხარია და წასულ კვირას ყველასაგან პატივცემული მოხუცი სრულებით გამოეთხოვა ამ ქვეყანას. სხვა და სხვა იმის ისტორიულ თხზულებებს შუა, შესანიშნავია იმის „საფრანგეთის ისტორია“ (1833—1857), „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია“ (1847—1853) და სხვ.

×

პირველი მარტისათვის ვიენისა და ვოკლუზის დეპარტამენტში ორი კანდიდატის ამორჩევაა დანიშნული. რესპუბლიკურმა პარტიამ ვოკლუზის დეპარტამენტში თავის კანდიდატად გამოჩენილი რესპუბლიკელი, 1848 მმართებლობის წევრი, ლედრუ როლლენი დანიშნა და, როგორც გაზეთებშია გამოცხადებული, ესეც დათანხმებულა. ამ კანდიდატურას ეხლა ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

×

დეპეშა შეგვატყობინებდათ ინგლისის ამორჩევების შედეგს: 652 დეპუტატში 353 კონსერვატორი ამოირჩიეს და 299 ლიბერალი; დ'იზრაელმა გაიმარჯვა, გლადსტონი დამარცხებულია და, როგორც ამბობენ, პარლამენტის გახსნამდი დაანებებს სამინისტროს თავსაო. ერთი შეხედვით კაცს ეგონება, რომ ინგლისში მართლა ხალხის მომხრეები დამარცხდა და იმის მოწინააღმდეგეებმა კი გაიმარჯვესო. სრულებითაც არა: უნდა იცოდეთ, რომ ხალხისთვის ლიბერალური და კონსერვატორული პარტია ორივე ერთია, არც ერთისაგან არ მოელის ის თავის მდგომარეობის გაუმჯობესობას, არც გლადსტონის და დ'იზრაელის პარტიისაგან. ხალხმა ხ უ თ ი თავის ნამდვილი წარმომადგენელი აირჩია, ამ ხუთში ორი მუშაა და ყველანი რესპუბლიკელები. აი, ეს გარემოება ყველაზე უფრო შესანიშნავია ეხლანდელს ინგლისის ამორჩევებში.

×

ყველასაგან პატივცემულ ოთხმოცდა ერთის წლის მოხუცს რასპაილს ეხლანდელმა მმართებლობამ ერთი კალენდრის გამოცემისათვის ორი წლის ციხეში ჩაწყვდევა გადაუწყვიტა. ამ საქმეში ყურადღების ღირსი ის არის, რომ მაკ-მაჰონის მმართებლობამ იმ სტატიებისთვის დასაჯა ეს გამოჩენილი სწავლული რესპუბლიკელი, რომელნიც ნაპოლეონის დროსაც იყვნენ დაბეჭდილნი...

ს. მესხი.

---

## „დროება“

1874-ში გამოვა იმავე პროგრამმით და იმავე პირების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტ ფ ი ლ ი ს ს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქ უ თ ა ი ს ს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

გარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

„დროება“ ეღირება გაგზავნით: ერთი წლით — ე ქ ვ ს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„კრებული“ და „დროება“ ერთად ეღირება გაგზავნით: ერთის წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

---

ვისაც შარშანდელი „დროების“ ფასი არ შემოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

---


## განცხადება

ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება

ქარლ-ფრანცუზული ლექსიკონი,

შედგენილი ივ. როტინიანცისაგან.

ფასი ერთი აბაზი

---

### объявленіе.

Считаю долгомъ увѣдомить почтеннѣйшую публику, что на Базарной улицѣ, въ домѣ Тамамшева, около Казенной Палати, я открылъ типографію, гдѣ принимаются всякаго рода типографскіе заказы и работы, которые исполняются весьма аккуратно.

Ефимій Хеладзе.


---

„დროება“. 1874, № 413

# ცნობათ-ფურცელი

თფილისი, 1 მარტი 1874 წ.

### რკინის გზა

| ა) თფილისიდამ | დილა | სალამო |
|---|---|---|
| თფილისი | 8.8 | 8.17 |
| მცხეთა | 9.8 | 10.— |
| გორი | 11.39 | 1.43 |
| სურამი | 1.52 | 4.30 |
| ყვირილა | 6.49 | |
| ქუთაისი | 7.55 | |
| სამტრედია | 9.02 | |
| ახალ-სენაკი | 10.02 | |
| ფოთი | 11.27 | |
| ბ) თფილისისკენ | დილა | |
| ფოთი | 7.38 | |
| ახალ-სენაკი | 9.11 | |
| სამტრედია | 10.2 | |
| ქუთაისი | 11.7 | დილა |
| ყვირილა | 12.38 | |
| სურამი | 4.57 | 7.15 |
| გორი | 7.23 | 10.12 |
| მცხეთა | 9.52 | 1.49 |
| თფილისი | 10.49 | 3.13 |

| გ) ფასი თფილისიდამ | I კლ. | II კ. | III კ. |
|---|---|---|---|
| მცხეთამდი | 90 | 68 | 38 |
| გორამდი | 3.20 | 2.40 | 1.33 |
| სურამიდამ | 5.22 | 3.92 | 2.18 |
| ქუთაისამდი | 9.— | 6.75 | 3.75 |
| ფოთამდი | 13.1 | 9.75 | 5.42 |

### ცეცხლის გემები

ა) შავ-ზღვაზე

ფოთიდამ გემი მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაფ. შუადღეზე.

სტამბოლს — კვირაობით შუადღეზე.

სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაფათს, ღამე.

ოდესას — პარასკევს, შუადღეზე.

ბ) კასპიის ზღვაზე:

ბაქოდამ გემი მიდის:

ასტრახნისკენ —

ასტრაბადისკენ —

### ტელეგრაფი

ოცი სიტყვის გაგზავნა ტელეგრაფით ღირს თფილისიდამ:

| | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | — | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| ვენას, ავსტრიაში | 2 | 75 |
| გერმანიაში | 2 | 63 |
| იტალიაში | 3 | 50 |
| საფრანგეთში | 3 | 38 |
| შვეიცარიაში, ოსმალეთში | 3 | — |
| ინგლისში | 4 | — |
| საბერძნეთში | 3 | 25 |
| სპარსეთში | 5 | 76 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას გარდა. ქუთაისს: ყოველ. დღე კვირას გარდა. კახეთს, ზუგდიდს: პარასკ. ოზურგეთს: ორშ., პარ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ. ალექსანდრეპოლს: ოთხშ. და პარასკევს. (შუადღემდი)

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისს და რუსეთს: ორშაფ. ოთხშაფ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს: ორშაფ., ხუთშაფ. და მაფათს. ოზურგეთს, ზუგდიდს და ახალ-სენაკს: ორშაფათობით (საღამომდე.)

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან: ორშაფ ოთხშაფ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე)

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან: ყოველდღე.

წიგნის გაგზავნა ღირს:

| | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის რუსეთში | 5 |
| დაბეჭდილი წიგნის რუსეთში | 10 |
| — საფრანგეთში | 25 |
| გერმანიაში | 10 |
| ინგლისში | 20 |

### ბირჟა

| პეტერბურგი, 15 ფებერ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველი სესხის) | 166 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხისა) | 165 | 75 |
| **კ უ რ ს ი** | | |
| ერთ მანეთში იძლევიან. | | |
| ლონდონში | $32\frac{3}{4}$ | პენ |
| პარიჟში | 348 | სან |
| ვენაში | — | — |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | $7\frac{3}{4}$ | — |
| ბირჟის ფურცლები: | — | — |
| ხერსონის ბანკისა ($5\frac{1}{2}$) | 85 | — |
| ხარკოვის (6%) | 83 | — |
| მოსკოვის (5%) | 87 | 75 |
| **ა ქ ც ი ე ბ ი:** | | |
| მავიზღვის ცეცხ. გემების | 570 | — |
| კავკაზის და მერკურის | 188 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 128 | — |
| თფილისის სავაჭრო ბანკის | — | — |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 263 | — |
| „სალამანდრასი“ | 340 | — |
| კამპანიის Двигатель. | 100 | — |
| პირვ. უზრუნველ-მყოფი (страх. общ.) საზოგ | 662 | — |
| მეორე უზრუნ. მყოფი საზ. | 193 | — |
| პეტერბ. უზრუნვ. მყოფი | 286 | — |
| მოსკოვის უზრუნვ. მყოფი | 287 | — |

### თფილისის მაზანდა

| 28 ფებვრალს, 1874 წ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური ერევნის | 1 | — |
| — განჯის | 1 | — |
| — შორაგლის | 1 | — |
| ქერი | — | 60 |
| ბამბა ერევნის | 4 | 10 |
| — ამერიკისა | 5 | 70 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 6 | — |
| — თარაქნული | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | — |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 11 | — |
| ხორცი ძროხის | — | 80 |
| — ცხვრის | — | 90 |
| სპირტი | 7 | — |
| შაქარი კარგი | 7 | 85 |
| — მდარე | 7 | 75 |
| — ფხვნილი | 6 | — |
| ყავა ბრგვალი | 20 | — |
| — საშუალი | 18 | 50 |
| — მდარე | 16 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთის | 7 | — |
| — მწარე | 4 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 6 | 3 |

### სახაზინო განცხადებები

— მთავრობის ნება-რთვით თფილისის ტამოჟნა პირველ ფებერვალს გადაიტანეს ახალს შენობაში რკინის გზის სტანციის მახლობლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Марта 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.